საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1306

31/08/2021

ქ. თბილისი

,,შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მდ. ლახამზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ლახამი 1 ჰესი - 6.4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ლახამი 2 ჰესი - 9.6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 27 აპრილის №2-545 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 ივლისის №2-1165 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტმა“ მომართა სამინისტროს ,,შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მდ. ლახამზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ლახამი 1 ჰესი - 6.4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ლახამი 2 ჰესი - 9.6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” 2021 წლის 27 აპრილის №2-545 ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, 2015 წლის 24 ნოემბრის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნულის განხილვის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 ივლისის №2-1165 ბრძანებით შეიქმნა საექსპერტო კომისია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 ივლისის №2-1165 ბრძანებაში საჭიროა შევიდეს ცვლილება და შეიცვალოს საექსპერტო კომისიის წევრი-საზოგადოებრივი ექსპერტი დავით ბაგრატიონი. შესაბამისად, საექსპერტო კომისიაში მონაწილოებას მიიღებს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ინტეგრირებული მართვის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გიორგი მამუკაძე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მდ. ლახამზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ლახამი 1 ჰესი - 6.4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ლახამი 2 ჰესი - 9.6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 27 აპრილის №2-545

ბრძანებაში ცვლილებების შეტანის განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 ივლისის №2-1165 ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) გიორგი მამუკაძე (კომისიის წევრი)-გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ინტეგრირებული მართვის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს კომისიის წევრებს;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი